საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2589 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №1622 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №1622 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 2 505 000 (ორი მილიონ ხუთას ხუთი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 530 000 (ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 941 000 (ცხრაას ორმოცდაერთი ათასი) ლარისა;

გ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 69 000 (სამოცდაცხრა ათასი) ლარისა;

დ) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ლარისა;

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 545 000 (ხუთას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ვ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**